ბრძანება:**ბ47. 4726141001**
თარიღი:**21/05/2026**

ბრძანება N36

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 28 მაისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1.საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებისშესახებ.

მომხსენებელი: თენგიზ მეგრელიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების

მართვის განყოფილების სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში

1.4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში

ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

1.5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

1.6. ანგარიში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ა(ა).ი.პ. ,,მომავლის“ მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ბარამიძე

სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება

ა(ა).ი.პ. ,,მომავლის“ დირექტორი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი